გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 77

2020 წლის 12 ივნისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესის განმარტების შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კოლეგიური საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა მისი დღის წესრიგის, ჩატარების ადგილისა და დროის ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოცხადების გარეშე გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რა დროსაც გადაუდებელი აუცილებლობა გულისხმობს სიტუაციას, როცა არსებობს კანონმდებლობის დარღვევის საშიშროება ან ვითარებას, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში რეალური საფრთხე ექმნება საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირებას. სხდომის გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ჩატარების შემთხვევაში, ამავე კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას სხდომის ჩატარების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო განმარტავს გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩატარებულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებულ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი შესაძლებელია გასაჩივრდეს მომჩივანისთვის აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ პირს აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების შედეგად მიადგა უშუალო ზიანი – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე